

№3- 65

24.07.2017

საქართველოს ფინანსთა მინისტრს
ბატონ დიმიტრი ქუმსიშვილს

საჯარო ინფორმაციის მოთხოვნა

ბატონო დიმიტრი,

2017 წლის 12 ივლისს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ (სეს) გაავრცელა განცხადება საქართველოს ბაზარზე აღმოჩენილ სუნელებში ტყვიის გადაჭარბებული ოდენობის აღმოჩენის შესახებ (იხ. დანართი), სადაც აღნიშნული იყო, რომ ამ ფაქტის შესახებ ეცნობება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს.

გთხოვთ, გვაცნობოთ, რა ზომებს მიმართა თქვენმა სამინისტრომ ზემოაღნიშნულ შემთხვევებთან დაკავშირებით. გამოვლენილია თუ არა დაბინძურების წყაროები და თუ გამოვლენილია, გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია მათ შესახებ.

გთხოვთ მოთხოვნილი ინფორმაცია მოგვაწოდოთ ელექტრონული ფოსტის მისამართზე vakhtang@csrdg.ge.

პატივისცემით,



ვახტანგ კობალაძე
პროგრამის კოორდინატორი



მომხმარებელი.გე

www.moxmarebeli.ge

საკითხს აშუქებს



სურსათის
ეროვნული
სააგენტო

სეს-ი სუნელ-სანელელების კვლევის შედეგებს ასაჯაროებს



სურსათის ეროვნული სააგენტოს სპეციალისტებმა ტყვიის შემცველობაზე კვლევისთვის მთელი საქართველოს მასშტაბით სარეალიზაციო ობიექტებიდან სხვადასხვა სახეობის სუნელ-სანელელების 75 ნიმუში აიღეს და აკრედიტირებულ ლაბორატორიაში - აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიულ კვლევით ცენტრში გადააგზავნეს. ამ დროისთვის უკვე გამოკვლეულია ყველა -75-ივე ნიმუში, საიდანაც დარღვევა 4 შემთხვევაში გამოვლინდა. მოქმედი კანონმდებლობით, ტყვიის შემცველობა სანელელებში 5 მილიგრამს არ უნდა აღემატებოდეს კილოგრამში. ტყვიის დაშვებულზე მაღალი შემცველობა აღინიშნა შემდეგ სუნელ-სანელელებში: წითელი წინაკა-7,06მგ/კგ (ი.მ. „ბადრი ჯახია“); მშრალი აჯიკა-6,38მგ/კგ (ი.მ. „ელგუჯა ჯახია“); მშრალი აჯიკა-5,96მგ/კგ (ი.მ. „გიგა შარანგია“); სუნელი-5,60მგ/კგ (ი.მ. „მადონა თოდუა“). კომპანიების

ჩამონათვალი სურსათის ეროვნულმა სააგენტომ 75-ე ნიმუშის გამოკვლევისთანავე გაასაჯაროვა. გამოვლენილ დარღვევებთან დაკავშირებით, სააგენტოს მიერ გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები. პროდუქცია ამოღებულია ბაზრიდან და მისი განადგურება ყველა საჭირო პროცედურის შემდეგ მოხდება და გამოვლენილ დარღვევაზე დეტალური ინფორმაცია მიეწოდება საზოგადოებას.

სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ჩატარებული ღონისძიებების და ლაბორატორიული კვლევის შედეგების შესახებ ეცნობება ჯანდაცვის, გარემოს დაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს.

აგრეთვე ინფორმაცია მიეწოდება საქართველოს საკონსულოს ამერიკის შეერთებულ შტატებში. სურსათის ეროვნული სააგენტო მზადყოფნას გამოთქვამს ითანამშრომლოს ნიუ-იორკის ჯანდაცვის დეპარტამენტთან კვლევების შედეგების გაცვლის მიზნით.

სურსათის ეროვნული სააგენტო ცხოველური და არაცხოველური წარმოშობის სურსათსა და სასმელ წყალში ტოქსიკური ელემენტების - მძიმე მეტალების, მათ შორის, ტყვიის შემცველობაზე ლაბორატორიულ კვლევებს 2010 წლიდან ატარებს. 2012 წლიდან დღემდე ტყვიის შემცველობაზე გამოკვლეულია ცხოველური და არაცხოველური სურსათის, სასმელი წყლისა და სასმელების 2687 ნიმუში. მათ შორის ნორმასთან შეუსაბამობა გამოვლინდა 64 მათგანში. დარღვევებთან დაკავშირებით გატარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებები - სურსათის ქსელიდან ამოღება და განადგურება.